საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №16
2017 წლის 28 ივლისი

ქ. საგარეჯო

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2017 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 დეკემბრის №23 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05/01/2017წ., 010250050.35.165.016257) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების დანართი №1-ის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 698000 ლარს“.

2. დადგენილების დანართი №2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №2

№	პროგრამის დასახელება	ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობა	სოციალური დახმარების მოცულობა	
			ერთ პირზე/ოჯახზე	სულ
1	2	3	4	5
1	ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებული ოჯახები		100	74 000
2	პირველ და მეორე შვილზე ახალშობილთა ოჯახების დახმარება		100	2500
3.	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება		200	9100
4.	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების ერთჯერადი დახმარება		100	1500
5.	სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონარული,ამბოლატორიული მკურნალობის და ოპერაციების დაფინანსება ღირებულების 70%-ით შშმ. პირების რეაბილიტაცია არაუმეტეს 500 ლარით		1000	150500
6.	ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო დახმარება ღირებულების 70%-ით		1000	64000
7.	ეკონომიურად და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მედიკამენტების დაფინანსება		100 და 500 ლარის ოდენობით	88000

8.	ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებული ოჯახების, რომელთა სარეიტინგო ქულა არის 0-დან 120000-მდე, ონკოლოგიური ავადმყოფები და ომის მონაწილეები სამედიცინო დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული, კომპიუტერული ტომოგრაფიის, კორონოროგრაფიის და ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევების დაფინანსება (რომელიც არ არის გათვალისწინებული სხვა პროგრამით)		არაუმეტეს 500 ლარისა	36500
9.	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები (18 წლამდე)	75	50 50 50 50	12 500
10.	უდედმამო ბავშვები (18 წლამდე)	5	50	3000
11.	უპატრონო და სოციალურად დაუცველი მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯი		300	9000
12.	საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში მონაწილე ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები		250	3000
13.	დევნილი პირის დაკრძალვის ხარჯები	3	300	900
14.	ა) სამამულო ომის ვეტერანების სადღესასწაულო დახმარება	10	100	6000
	ბ) სამამულო ომის ვეტერანების სადღესასწაულო დახმარება (ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით)	10	100	
	გ) სამამულო ომის ვეტერანთა დაკრძალვის სარიტუალო ხარჯები		250	
15.	აიპ ,,საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის" უფასო სასადილოს დაფინანსება	230		155000
16.	სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული სახლების მაცხოვრებელთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა (ბინის ქირის კომპენსაცია)	26-28	125	34500
17.	ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ოფისი			9000
18.	ოთხმოცდათხუტმეტ წელს გადაცილებული ხანდაზმულებისათვის საჩუქარი		100	2000
19.	დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა სოციალური დაცვა	16	100	19 000
20	ს.უდაბნოდან ქ.საგარეჯოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ტრანსპორტირება კვირაში ორჯერ მთელი წლის განმავლობაში			8000
21	ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებული ოჯახებისთვის სააღდგომო სასურსათო ამანათების გადაცემა			10000
	სულ			698000

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ცისმარი თედიაშვილი